

1972/2



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის:

უმაღლესი საბჭოს

ყ რ ყ ე ბ ე ბ ი

№ 12 (383)

1972 წლის დეკემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამომცემა

თბილისი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები



№ 12 (383)

ლექსები

1972 წელი

შ ი ნ ბ ა რ ს ი

ბანუოფილება პირველი

335. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. კ. ი. ქავთარაძის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
336. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
337. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ს. ი. ქაჯაიის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
338. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ა. ვ. კარანაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ.
339. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კანონში „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლების შესახებ“ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.
340. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
341. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეების დამტკიცების შესახებ.
342. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.



საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიღებული

კანონები და დადგენილებები

243. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1973 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.
244. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
245. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
246. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის გარდაქმნისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში საქსახსამთოზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარის შეყვანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში ცვლილებისა და დამატების შეტანას შესახებ.
247. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.
248. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
249. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
250. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ კანონში საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
251. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ნარკომანების და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზარდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების მეორე მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
252. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „მსჯავრდებულთათვის კვების პროდუქტების, ნივთების, ფულის, სპირტიანი სასმელებისა და აგრეთვე შრომის დასწორების დაწესებულებაში გამოსაყენებლად აკრძალული საგნების უკანონოდ გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

253. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ავტონომიის მდებარეობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.
254. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის გათავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.
255. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „საქართველოს სსრ უმაღლესი სამართლის რწმუნებათა ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
256. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „უაზნგვის რაიონის თრუსოს სასოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
257. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი სამართლის არჩევის შესახებ.
258. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ვ. პ. მჭავანაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
259. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ რ. ვ. მეტრეველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
260. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ გ. ა. კოლოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
261. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ე. ა. შვეარდნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.
262. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.
263. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ს. ტ. რიგვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.
264. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ს. მ. მიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
265. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ დ. დ. მაღალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.
266. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ზ. ა. პატარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგვემო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.
267. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

- 268. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ი. ო. ხვედელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.
- 269. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ბ. გ. გვლახიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
- 270. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ს. ვ. ღურშიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.
- 271. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ნ. ვ. ღუმბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევას შესახებ.
- 272. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ნ. შ. ვასაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.
- 273. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი სამანდატო კომისიის მოხსენებას გამო.

ბანუოფილება მეორე

- 274. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 275. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
- 276. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „სოფელ ვურჯუსთანის“ რედაქციის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 277. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ გ. ვ. წითლანაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანუოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობა.

1972 წლის ანბანურ-სავნობრივი საძიებელი

ბანუოფილება კირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

235 ამხ. კ. ი. ჭანთარაძის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის
მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. კონსტანტინე ივანეს ძე ჭანთარაძე საქართველოს
სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანავაძე.

თბილისი, 1972 წლის 7 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

236 ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრად
დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძე საქართველოს სსრ კავშირგაბ-
მულობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანავაძე.

თბილისი, 1972 წლის 7 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

237 ამხ. ს. ი. ჭაჭაიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. სერგო იასონის ძე ჭაჭაია საქართველოს სსრ უმაღ-
ლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანავაძე.

თბილისი, 1972 წლის 8 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

238 ამხ. ა. ბ. კარანაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: დაშვებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ამხ. აკაკი გრიგოლის ძე კარანაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანციაძე.

თბილისი, 1972 წლის 8 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

239 საქართველოს სსრ კანონში „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლების შესახებ“ ცვლილებათა და დამატებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1962 წ., № 3, მუხ. 47, 1965 წ. № 30, მუხ. 629; 1969 წ. № 10, მუხ. 181) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ავტონომიურ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების სარეზერვო ფონდები, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ და სხვა ღონისძიებათა გადაუდებელი ხარჯების დასაფარავად, რომლებიც ვერ იქნებოდა გათვალისწინებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს“.

2. ამოღებული იქნეს 78-ე მუხლის „ე“ პუნქტი.

3. დაემატოს 80¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 80¹. კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის ბიუჯეტებში იქმნება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწანიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**.

თბილისი, 1972 წლის 15 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

240 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის უაღმავლოდ დასაბამისი დასაბამისი უაღმავლოდ

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი 9 კაცის რაოდენობით შემდეგი შემადგენლობით:

პრეზიდიუმის თავმჯდომარე

აკაკი გრიგოლის ძე კარანაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

პრეზიდიუმის წევრები:

თამაზ გრიგოლის ძე შავგულიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

გიორგი ყირიმის ძე იოსავა — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

დურმიშხან ანთიმოზის ძე ლორია — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

გივი ივანეს ძე ბახტაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი;

ოთარ ალექსანდრეს ძე გველესიანი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი;

გრიგოლ გრიგოლის ძე დევდარიანი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი;

ნინო ივანეს ასული ერქომაიშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი;

ივანე შალვას ძე ჟორდანიანი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწანიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**.

თბილისი, 1972 წლის 29 დეკემბერი.



დადგინდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

241 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სასამართლოს წყობილების კანონის 51-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ — გიორგი ყირიძის ძე, იოსავა — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ — დურმიშხან ანთიმოზის ძე ლორია — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ჯ. კვავაძე.

თბილისი, 1972 წლის 29 დეკემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

242 „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნოების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, საირაწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-3, მე-6, მე-11 და მე-13 მუხლებში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ. № 5, მუხ. 4; 1962 წ. № 15, მუხ. 232; 1965 წ. № 20, მუხ. 411; 1969 წ. № 10, მუხ. 179) შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს ისინი შემდეგი რედაქციით:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-3, მე-6, მე-11 და მე-13 მუხლებში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ. № 5, მუხ. 4; 1962 წ. № 15, მუხ. 232; 1965 წ. № 20, მუხ. 411; 1969 წ. № 10, მუხ. 179) შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს ისინი შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭოთა მეურნეობები, სატყეო-სამრეწველო მეურნეობები, რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ რაიონული და სარაიონთაშორისო

განყოფილებები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები (გარდა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ორგანიზაციებისა) მონაწილეობენ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მათი კუთვნილი ყოველი სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორის, სამშენებლო და საგზაო მექანიზმის გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის მოცულობით წელიწადში, მაგრამ მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის (მთლიანი პროდუქციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ტვირთზიდვის და მგზავრთა გადაყვანისაგან მიღებული საერთო შემოსავლის მოცულობის და ა. შ.) სულ ცოტა 0,5 პროცენტის ოდენობით.

იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის ის ნაწილი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს საგზაო სამუშაოებზე, აღემატება მათი კუთვნილი ტრანსპორტისა და მექანიზმების გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის ღირებულებას და ამავდროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს არა აქვთ საშუალება შეასრულონ ეს ნაწილი თავიანთი ტრანსპორტითა და მექანიზმებით, მათ შეუძლიათ განსხვავება დაფარონ ფულადი შესატანით“.

„6. ამ ბრძანებულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი ტრანსპორტი, მექანიზმები და მოწყობილობა, ადგილობრივი გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობენ მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის 0,5 პროცენტის ოდენობით, ხოლო მომპარაგებელი, გამსაღებელი და სვაჟრო ორგანიზაციები — მათი წლიური ბრუნვის (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლელად) 0,02 პროცენტის ოდენობით“.

„11. მოწყობილობის, საშენი მასალის, იარაღისა და ინვენტარის შესაძენად, ტექნიკური პერსონალის შესანახად, კვალიფიციური მუშახელის ხელფასის გასაცემად და სხვა ხარჯებისათვის, რაც საჭიროა იმ საგზაო სამუშაოებისათვის, რომლებიც სრულდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობით, ფულად სახსრებს ყოველწლიურად გამოყოფენ შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტით, აღნიშნული ორგანიზაციების მიერ შესასრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სულ ცოტა 20 პროცენტის ოდენობით“.

„13. საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის გადახდევინებული ფულადი სახსრები, აგრეთვე თანხა, რომელსაც სამეურნეო ორგანიზაციები შეიტანენ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის სანაცვლოდ (მუხლი 3, 5, 6 და 12) ჩარიცხავენ:

ა) რაიონებში — ადგილობრივი საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე და დაიხარჯება მხოლოდ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტზე, გარდა იმ ფულადი ასიგნებანისა, რომლებიც საგზაო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია ბიუჯეტით;

ბ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ოთხ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ფოთი) — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე და გამოყენებული იქნება საავტომობილო გზების საჭიროებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებით სატრანსპორტო საშუალებებისა და საგზაო-სამშენებლო ტექნიკის შესაძენად, აგრეთვე საგზაო ორგანიზაციების საწარმოო ბაზების განვითარებასა და საპროექტო-საკვლევო სამუშაოების ანაზღაურებაზე შეიძლება დაიხარჯოს აღნიშნული ფულადი სახსრების არა უმეტეს 25 პროცენტისა.

ამავე თანხიდან საბრუნავ სახსრებს დაწესებული ნორმატივების ფარგლებში გამოუყოფენ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს იმ მოიჯარე საგზაო-სამშენებლო და ხიდების სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოებს.

წლის განმავლობაში გამოუყენებელი ფულადი სახსრები, რომლებიც ჩარიცხულია საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე, ინარჩუნებენ თავიანთ მიზნობრივ დანიშნულებას მომდევნო წელსაც“.

2. აღნიშნული ბრძანებულება ძალაში შედის 1973 წლის 1 მარტიდან.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცოს ინსტრუქცია „სავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონჯინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი, 1972 წლის 29 დეკემბერი.

**საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს
 მეოთხე სესიის მიერ მიღებული კანონები და
 დადგენილებები**

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

243 საქართველოს სსრ სახალხო მუშრნეობის განვითარების 1973 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1973 წლის სახელმწიფო გეგმა.

მუხლი 2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1973 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

(მატება პროცენტობით 1972 წელთან შედარებით)

| | |
|---|----------------|
| მრეწველობის პროდუქცია — სულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე | 4,4 პროცენტით |
| სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობის იმ დარგებში, რომლებისთვისაც სასწრები გამოეყოფა უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს | 2,8 პროცენტით |
| საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა | 8,5 პროცენტით |
| ხელფასის ფონდი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში | 8,3 პროცენტით |
| მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებასა და ორგანიზაციების სამრეწველო საქმიანობიდან | 17,4 პროცენტით |
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა | 7 პროცენტით |

მუხლი 3. უზრუნველყოფილ იქნას, რომ 1973 წელს 1972 წელთან შედარებით გადიდდეს:

| | |
|--|----------------|
| მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საქესპლუატაციოდ გადაცემა | 14,5 პროცენტით |
| | 6,7 პროცენტით |

| | |
|---|---------------|
| ბავშვთა რიცხოვნობა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელი ასაკის საბავშვო დაწესებულებებში მოსწავლეთა რიცხოვნობა გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში | 3 პროცენტით |
| მოსწავლეთა მიღება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში | 5,8 პროცენტით |
| სტუდენტთა მიღება უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე | 2 პროცენტით |
| საავადმყოფო საწოლების რაოდენობა | 5,2 პროცენტით |
| | 4,4 პროცენტით |

მუხლი 4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წელს განახორციელოს ღონისძიებანი მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებისა და „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად.

მუხლი 5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1973 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ ჩამოყალიბებული წინადადებანი და შენიშვნები, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 დეკემბერი

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

244 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 1558015 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1558015 ათასი მანეთი და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1974 წლის 1 იანვრისათვის 58300 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, ფიქსირებული გადასახდელები, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 1397767 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, საშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 667270 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საერთო საგანმანათლებლო სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის და ფი-



ზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 833938 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით — 167300 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოების შესანახად 26247 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1973 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 1454379 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1040510 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 413869 ათასი მანეთი და გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1974 წლის 1 იანვრისათვის 35281 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1973 წლისათვის შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

| | შემოსავალი | მთ შორის | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1974 წლის 1 იანვრისათვის |
|--|------------|---|-----------|--|
| | | ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | | |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 52.188,3 | 40.835,8 | 52.188,3 | 2 593,0 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 38.409,3 | 31.473,7 | 38.409,3 | 1.909,0 |
| 3. სამცხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 18.086,2 | 16.087,9 | 18.086,2 | 896,0 |
| 4. ქალაქი თბილისი | 132.165,8 | 87.499,4 | 132.165,8 | 3.941,0 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 17.560,8 | 10.564,4 | 17.560,8 | 863,0 |
| 6. ქალაქი ფოთი | 4.251,0 | 3.103,8 | 4.251,0 | 210,0 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 6.820,6 | 6.032,2 | 6.820,6 | 358,0 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 12.797,9 | 10.669,2 | 12.797,9 | 637,0 |
| 9. ქალაქი გორი | 5.336,4 | 3.628,7 | 5.336,4 | 262,0 |
| 10. ქალაქი ტყიბული | 4.512,6 | 4.032,8 | 4.512,6 | 224,0 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი | 4.818,6 | 4.147,6 | 4.818,6 | 238,0 |
| 12. აბაშის რაიონი | 2.993,3 | 2.59,6 | 2.993,3 | 148,0 |
| 13. ადიგენის რაიონი | 2.322,4 | 2.228,8 | 2.322,4 | 111,0 |
| 14. ამბროლაურის რაიონი | 3.061,1 | 2.801,2 | 3.061,1 | 150,0 |
| 15. ასპინძის რაიონი | 2.365,2 | 2.261,2 | 2.365,2 | 115,0 |

| | შემოსავალი | მათ შორის | | გასივლია | საბიუჯეტო სასრების გარეშედიანი ნაშთი 1974 წლის 1 იანვრის ათვის |
|------------------------|------------|--|---------------------------------------|----------|---|
| | | ანაორცები სახელ- მწიფო ვალდებულებ- ებიდან და შემოსავ- ლებიდან | სახელ- მწიფო ვალდებულებ- ებიდან | | |
| 16. ახალქალაქის რაიონი | 5 913,5 | 5 486,5 | 5 913,5 | 294,0 | |
| 17. ახალციხის რაიონი | 5 349,9 | 4 862,8 | 5 349,9 | 264,0 | |
| 18. ახმეტის რაიონი | 4 131,3 | 3 791,0 | 4 131,3 | 204,0 | |
| 19. ბოგდანოვკის რაიონი | 4 067,5 | 3 869,8 | 4 067,5 | 202,0 | |
| 20. ბოლნისის რაიონი | 5 127,4 | 4 854,1 | 5 127,4 | 254,0 | |
| 21. ბორჯომის რაიონი | 3 834,6 | 3 286,0 | 3 834,6 | 186,0 | |
| 22. გარდაბნის რაიონი | 7 932,3 | 6 496,8 | 7 932,3 | 395,0 | |
| 23. გეგეჭკორის რაიონი | 4 922,7 | 4 624,7 | 4 922,7 | 244,0 | |
| 24. გორის რაიონი | 5 756,2 | 5 218,0 | 5 756,2 | 287,0 | |
| 25. გურჯაანის რაიონი | 5 785,7 | 4 786,5 | 5 785,7 | 288,0 | |
| 26. დმანისის რაიონი | 3 909,2 | 3 676,8 | 3 909,2 | 194,0 | |
| 27. დღუშეთის რაიონი | 4 151,8 | 3 647,7 | 4 151,8 | 203,0 | |
| 28. ვანის რაიონი | 3 731,4 | 3 276,6 | 3 731,4 | 184,0 | |
| 29. ზესტაფონის რაიონი | 6 132,0 | 5 290,0 | 6 132,0 | 304,0 | |
| 30. ზუგდიდის რაიონი | 6 416,7 | 6 000,8 | 6 416,7 | 319,0 | |
| 31. თეთრიწყაროს რაიონი | 3 742,6 | 3 092,0 | 4 742,6 | 186,0 | |
| 32. თელავის რაიონი | 6 482,2 | 5 829,2 | 6 482,2 | 317,0 | |
| 33. თერჯოლის რაიონი | 3 695,5 | 2 928,6 | 3 695,5 | 182,0 | |
| 34. თიანეთის რაიონი | 2 715,1 | 2 539,2 | 2 715,1 | 134,0 | |
| 35. კასპის რაიონი | 4 324,2 | 3 794,3 | 4 324,2 | 213,0 | |
| 36. ლავდეხის რაიონი | 4 546,5 | 4 039,6 | 4 546,5 | 226,0 | |
| 37. ლანჩხუთის რაიონი | 4 028,8 | 3 610,8 | 4 028,8 | 200,0 | |
| 38. ლენტეხის რაიონი | 2 345,8 | 2 238,1 | 2 345,8 | 115,0 | |
| 39. მაიაკოვსკის რაიონი | 3 344,2 | 2 910,5 | 3 344,2 | 165,0 | |
| 40. მარნეულის რაიონი | 7 377,3 | 6 518,7 | 7 377,3 | 366,0 | |
| 41. მახარაძის რაიონი | 6 894,8 | 5 965,7 | 6 894,8 | 341,0 | |
| 42. მესტიის რაიონი | 2 905,5 | 2 843,7 | 2 905,5 | 144,0 | |
| 43. მცხეთის რაიონი | 3 687,6 | 3 194,9 | 3 687,6 | 183,0 | |
| 44. ონის რაიონი | 2 461,4 | 2 244,5 | 2 461,4 | 121,0 | |
| 45. ორჯონიკიძის რაიონი | 3 780,5 | 3 446,4 | 3 780,5 | 186,0 | |
| 46. სავარჯვოს რაიონი | 3 433,2 | 3 188,8 | 3 433,2 | 171,0 | |
| 47. სამტრედიის რაიონი | 5 053,3 | 4 056,8 | 5 053,3 | 251,0 | |
| 48. საჩხერის რაიონი | 3 996,2 | 3 472,7 | 3 996,2 | 198,0 | |
| 49. სიღნაღის რაიონი | 4 491,6 | 3 810,1 | 4 491,6 | 223,0 | |
| 50. ქარტლის რაიონი | 4 169,7 | 3 687,8 | 4 169,7 | 205,0 | |
| 51. ყაზბეგის რაიონი | 1 459,3 | 1 311,1 | 1 459,3 | 71,0 | |
| 52. ყვარლის რაიონი | 3 787,9 | 3 380,8 | 3 787,9 | 188,0 | |
| 53. ჩხობატურის რაიონი | 3 187,6 | 2 963,3 | 3 187,6 | 158,0 | |
| 54. ჩხოროწყუს რაიონი | 3 716,9 | 3 519,3 | 3 716,9 | 184,0 | |
| 55. ცაგერის რაიონი | 2 770,9 | 2 596,5 | 2 770,9 | 137,0 | |
| 56. ცხაქაიას რაიონი | 4 941,7 | 4 357,4 | 4 941,7 | 245,0 | |
| 57. წალენჯიხის რაიონი | 4 065,9 | 3 779,0 | 4 065,9 | 202,0 | |
| 58. წალკის რაიონი | 4 891,0 | 4 558,9 | 4 891,0 | 243,0 | |
| 59. წითელწყაროს რაიონი | 3 678,6 | 3 223,7 | 3 678,6 | 182,0 | |
| 60. წულუკიძის რაიონი | 3 865,5 | 3 533,2 | 3 868,5 | 192,0 | |
| 61. წყალტუბოს რაიონი | 5 009,5 | 3 621,8 | 5 009,5 | 248,0 | |
| 62. ხაშურის რაიონი | 4 447,0 | 3 610,4 | 4 447,0 | 221,0 | |
| 63. ხობის რაიონი | 3 522,5 | 2 986,8 | 3 322,5 | 164,0 | |
| სულ | 517 505,0 | 413 869,0 | 517 505,0 | 23019,0 | |



მუხლი 8. დამტკიცდეს 1973 წლისათვის სპერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

- ა) სატყეო შემოსავლიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან და სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან — 100 პროცენტი;
- ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან — 100 პროცენტი;
- გ) მოსახლეობის შენობების, საოჯახო ქონების და ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის, უბედური შემთხვევებისაგან მოქალაქეთა ინდივიდუალური დაზღვევის, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ანგარიშში მუშაკთა დაზღვევის გადასახდელებიდან — 100 პროცენტი;
- დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:


| | ანარიცხების პროცენტები | | |
|--|---------------------------------------|--|-----------------------|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | სსრ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 20 | 100 | 58,6 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 41 | 65 | 60,9 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 100 | 100 | 98,6 |
| 4. ქალაქი თბილისი | 13 | 26 | 15,5 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 19 | 82 | 12,0 |
| 6. ქალაქი ფოთი | 27 | 100 | 66,8 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 50 | 100 | 94,5 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 86 | 100 | 98,3 |
| 9. ქალაქი გორი | 40 | 100 | 41,1 |
| 10. ქალაქი ტყიბული | 50 | 100 | 55,8 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი | 50 | 100 | 60,2 |
| 12. აბაშის რაიონი | 50 | 100 | 95,9 |
| 13. აღიგენის რაიონი | 100 | 100 | 79,8 |
| 14. ამბროლაურის რაიონი | 50 | 100 | 95,5 |
| 15. ასპინძის რაიონი | 100 | 100 | 68,5 |
| 16. ახალქალაქის რაიონი | 50 | 100 | 86,6 |
| 17. ახალციხის რაიონი | 50 | 100 | 63,9 |
| 18. ახმეტის რაიონი | 70 | 100 | 91,3 |
| 19. ბოგდანოვკის რაიონი | 50 | 100 | 62,1 |
| 20. ბოლნისის რაიონი | 50 | 100 | 98,9 |
| 21. ბორჯომის რაიონი | 50 | 100 | 15,8 |
| 22. გარდაბნის რაიონი | 20 | 100 | 35,5 |
| 23. გეგეჭკორის რაიონი | 50 | 100 | 68,2 |
| 24. გორის რაიონი | 50 | 100 | 22,1 |

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

ანარიცხების პროცენტები

| | შოსახლეობის საშუალო მოსაკლავადობის დღიდან | სსრკ უცხოეთში, მოსკოლში, მარტოხელა და შეერთებული შტატებისათვის გაღ- ისხადიდან | ბრუნების გადასახადიდან |
|------------------------|---|---|---------------------------|
| 25. გურჯაანის რაიონი | 50 | 100 | 73,6 |
| 26. დმანისის რაიონი | 60 | 100 | 88,2 |
| 27. დუშეთის რაიონი | 100 | 100 | 61,1 |
| 28. ვანის რაიონი | 50 | 100 | 32,5 |
| 29. ზესტაფონის რაიონი | 50 | 100 | 28,7 |
| 30. ზუგდიდის რაიონი | 68 | 100 | 82,0 |
| 31. თეთრიწყაროს რაიონი | 50 | 100 | 99,1 |
| 32. თელავის რაიონი | 50 | 100 | 76,3 |
| 33. თერჯოლის რაიონი | 50 | 100 | 63,7 |
| 34. თიანეთის რაიონი | 50 | 100 | 91,1 |
| 35. კასპის რაიონი | 50 | 100 | 21,6 |
| 36. ლაგოდეხის რაიონი | 50 | 100 | 47,5 |
| 37. ლანჩხუთის რაიონი | 50 | 100 | 62,3 |
| 38. ლენტეხის რაიონი | 100 | 100 | 97,4 |
| 39. შიდაკოვსკის რაიონი | 50 | 100 | 37,6 |
| 40. მარნეულის რაიონი | 50 | 100 | 96,5 |
| 41. მახარაძის რაიონი | 40 | 100 | 43,6 |
| 42. მესტიის რაიონი | 100 | 100 | 34,6 |
| 43. მცხეთის რაიონი | 50 | 100 | 78,5 |
| 44. ონის რაიონი | 50 | 100 | 92,7 |
| 45. ორჯონიკიძის რაიონი | 50 | 100 | 83,3 |
| 46. საგარეჯოს რაიონი | 50 | 100 | 62,5 |
| 47. სამტრედიის რაიონი | 30 | 100 | 12,0 |
| 48. საჩხერის რაიონი | 50 | 100 | 54,3 |
| 49. სიღნაღის რაიონი | 50 | 100 | 54,4 |
| 50. ქარტლის რაიონი | 40 | 100 | 8,6 |
| 51. ყაზბეგის რაიონი | 100 | 100 | 81,4 |
| 52. ყვარლის რაიონი | 50 | 100 | 38,8 |
| 53. ჩხატაურის რაიონი | 50 | 100 | 92,8 |
| 54. ჩხოროწყუს რაიონი | 50 | 100 | 72,1 |
| 55. ცაგერის რაიონი | 100 | 100 | 90,9 |
| 56. ცხაქაიას რაიონი | 50 | 100 | 18,6 |
| 57. წალენჯიხის რაიონი | 50 | 100 | 70,3 |
| 58. წალკის რაიონი | 100 | 100 | 94,1 |
| 59. წითელწყაროს რაიონი | 50 | 100 | 89,1 |
| 60. წულუკიძის რაიონი | 50 | 100 | 65,8 |
| 61. წყალტუბოს რაიონი | 50 | 100 | 76,7 |
| 62. ხაშურის რაიონი | 50 | 100 | 21,8 |
| 63. ხობის რაიონი | 50 | 100 | 95,2 |

12.196





მუხლი 9. გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებში (შემდგომში მხოლოდ მელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტებზე გადასაცემად) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამომანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტებში, შემდეგი ოდენობით:

| (პროცენტებში) | | (პროცენტებში) | |
|---------------------------------|----|--------------------|----|
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 21 | ლანჩხუთის რაიონი | 12 |
| ქალაქი ჭიათურა | 26 | ლენტეხის რაიონი | 47 |
| ქალაქი ტყიბული | 7 | მაიაკოვსკის რაიონი | 20 |
| აბაშის რაიონი | 13 | მარნეულის რაიონი | 5 |
| ადიგენის რაიონი | 32 | მახარაძის რაიონი | 5 |
| ამბროლაურის რაიონი | 19 | მესტიის რაიონი | 54 |
| ასპინძის რაიონი | 43 | მცხეთის რაიონი | 10 |
| ახალქალაქის რაიონი | 15 | ონის რაიონი | 22 |
| ახალციხის რაიონი | 22 | ორჯონიკიძის რაიონი | 18 |
| ახმეტის რაიონი | 20 | საგარეჯოს რაიონი | 15 |
| ბოგდანოვსკის რაიონი | 20 | სამტრედიის რაიონი | 10 |
| ბოლნისის რაიონი | 25 | საჩხერის რაიონი | 13 |
| ბორჯომის რაიონი | 15 | სიღნაღის რაიონი | 5 |
| ვარდაბნის რაიონი | 4 | ქარელის რაიონი | 15 |
| გეგეჭკორის რაიონი | 22 | ყაზბეგის რაიონი | 33 |
| გორის რაიონი | 12 | ყვარლის რაიონი | 14 |
| გურჯაანის რაიონი | 5 | ჩოხატაურის რაიონი | 16 |
| ღმანისის რაიონი | 28 | ჩხოროწყუს რაიონი | 25 |
| ღუშეთის რაიონი | 17 | ცაგერის რაიონი | 29 |
| ვანის რაიონი | 15 | ცხაკაიას რაიონი | 12 |
| ზესტაფონის რაიონი | 13 | წალენჯიხის რაიონი | 20 |
| ზუგდიდის რაიონი | 18 | წალკის რაიონი | 23 |
| თეთრიწყაროს რაიონი | 12 | წითელწყაროს რაიონი | 9 |
| თელავის რაიონი | 11 | წულუკიძის რაიონი | 21 |
| თერჯოლის რაიონი | 10 | წყალტუბოს რაიონი | 7 |
| თიანეთის რაიონი | 25 | ხაშურის რაიონი | 6 |
| ქასპის რაიონი | 6 | ხობის რაიონი | 15 |
| ლაგოდეხის რაიონი | 5 | | |

მუხლი 10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა წინადადებანი და შენიშვნები, გამოთქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე და მიიღოს მათ მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძეგანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ჯ. კვამაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

245 საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 1.533.279 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 1.493.057 ათასი მანეთის ოდენობით; გასავალზე შემოსავლის 40.222 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

246 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბავშვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის გარდაქმნისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესო რაზონის საქსახსამოთხედაცხედველოზის კომიტეტის თავმჯდომარის უწყვანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლით ცვლილებისა და დამატების შეთანხმების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები: 1972 წლის 23 აგვისტოსი „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბავშვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის თაობაზე“ და 1972 წლის 13 ოქტომბრისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის (საქსახსამოთხედაცხედველობის კომიტეტის) თავმჯდომარის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ“.



ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში შემდეგი ცვლილება და დამატება:

სიტყვების: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“ ნაცვლად ჩაიწეროს სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“;

სიტყვების: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის (საქსახსამთოზედამხედველობის კომიტეტის) თავმჯდომარე“;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საპარტველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

247 საპარტველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საპარტველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა და მთავრობის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1972 წლის 29 ივნისისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ“;

1972 წლის 9 აგვისტოსი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1972 წლის 9 აგვისტოსი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1972 წლის 14 სექტემბრისა „ეპიდემიასთან ბრძოლის დადგენილი წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“;

1972 წლის 14 სექტემბრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1972 წლის 20 ნოემბრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

248 „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

249 „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

250 „საქართველოს სსრ კანონში საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 20 ნოემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კანონში საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

251 „ნარკომანების და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების მეორე მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 29 ივნისის ბრძანებულება „ნარკომანების და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების მეორე მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

252 „მსჯავრდებულთათვის კვების პროდუქტების, ნივთების, ფულის, სპირტიანი სასმელებისა და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებაში გამოსაყენებლად აკრძალული საგნების უკანონოდ გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრეზიდუმიზის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულება „მსჯავრდებულთათვის კვების პროდუქტების, ნივთების, ფულის, სპირტიანი სასმელებისა და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებაში გამოსაყენებლად აკრძალული საგნების უკანონოდ გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

253 ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგირით საბანონადებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეთანხმების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრეზიდუმიზის ბრძანებულებაზე და მტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1972 წლის 9 აგვისტოს და 14 სექტემბრისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლის შეცვლების თაობაზე“;

1972 წლის 20 ნოემბრისა „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს



პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულების მე-2 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

254 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგირითი წაპრის გათავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაზე და მისი განხილვის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1972 წლის 24 ივლისისა „ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“;

1972 წლის 24 ივლისისა „ამხ. თ. ი. ლოლაშვილის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

